



საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებშია მომზადებული. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი** „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. **გაფორმებული**

**ანკეტა-მემორანდუმზე** დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშვნიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: <http://www.lanchkhuti.org.ge/>; <http://chokhatauri.ge/>

**გამოცემის ამ და შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ საინტერესო მასალებს გურიის ისტორიიდან, რომლებიც თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიმდინარეობას ასახავენ. მასალები აღებულია ბრიტოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com/](http://www.aboutguria.blogspot.com/)**

ლევან მყავანაძე,  
პროექტის კოორდინატორი

## ამხანაგობა გურიაში

მასალა აღებულია ბრიტოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com](http://www.aboutguria.blogspot.com)



დღეს, როცა ადგილობრივი ინიციატივა ნებისმიერი ტიპის საქმეში იშვიათობას წარმოადგენს და როცა რამდენიმე ადამიანის ძალისხმევით გაერთიანება და ორგანიზება როგორც სამოქალაქო, ისე კომერციული მიზნებით იშვიათად და ისიც მხოლოდ გარე ფაქტორების მიერ წახალისების (სახელმწიფო, დონორი ორგანიზაციები) შემთხვევაში ხდება, საინტერესო იქნება იმ მაგალითების გახსენება, რომლებიც თედო სახოკიას აქვს აღწერილი თავის „მოგზაურობებში“. ესაა ოთხი მაგალითი ამხანაგობისა, ანუ კომერციული მიზნით შექმნილი გაერთიანებებისა, რომლებიც დღეს ბიზნეს-ასოციაციებს ან კოოპერატივებთან შეიძლება მივამსგავსოთ

### მეცხრეა ამხანაგობა

1890-იანი წლებიდან საჭირ-ბოროტო საქმე გახდა ნატანებიდან ოზურგეთამდე მგზავრობის მონესრიგება. მოგვხსენებათ, ოზურგეთში რკინიგზა მხოლოდ 1924 წელს

შევიდა. მანამდე კი ქალაქის უახლოესი რკინიგზის სადგური ნატანები იყო. იქიდან ან იქამდე მგზავრობა ეტლით ან დილიჟანსით უნდა ემგზავრა.

მეცხრეა თავგასულობას ზღვარი არ ჰქონდა, უნდოდა ნაიყვანდა მგზავრობა, უნდოდა არა, უნდოდა, თუმანს გადაახდეინებდა. დამშლელი არ ჰყავდა. ეს განსაკუთრებით ტვირთად აწვებოდა ვაჭრებს.

ზოგიერთმა მეცხრემ გადამწყვიტა ამხანაგობის დაარსება. ჩამოყალიბდა „გურულ მეცხრეთა ამხანაგობა“, რომელსაც შემოკლებით კამპანიას ეძახდნენ. ეს იყო პირველი ამხანაგობა გურიაში.

წილის ფული თითოეული წევრისთვის 20 მანეთი დანიშნეს. დაადგინეს მგზავრობის საფასური: კაცზე 10 შაური ეტლით, ხოლო ექვსი შაური დილიჟანით მგზავრობისას. ოპონენტები ამბობდნენ ამხანაგობა ნააგებსო, მაგრამ ზარალის ნაცვლად ამხანაგობამ ორნაირად მოიგო: ერთი ახეირა პაის პატრონები, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მეორე

მხრეზე მგზავრობა გაუიფა და გაუადვილა მგზავრობა.

1895 წელს ამხანაგობას უკვე 250 წევრი ჰყავდა, ამხანაგობა ისე გაძლიერდა, რომ ქალაქში შეიძინა 2000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, დაიქირავა კვალიფიციური ოსტატები და პატარა საწარმო ააგო, სადაც შეიძლებოდა როგორც ძველი ეტლის შეკეთება, ასევე ახლის დამზადება.

### სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“

გურიაში აბრეშუმის ჭია ყოველთვის კარგად ხარობდა, დიდძალი აბრეშუმის მონევა შეიძლებოდა, მაგრამ ამით გურია ვერ სარგებლობდა. გურიაში ნაქსოვი აბრეშუმი ადგილობრივ ბაზარს არ სცილდებოდა და არც აქაურების მიერ ტლანქად ამოღებულ ძაფს ჰქონდა გასაყალი.

ჩარჩები გურულელებისგან მარტო აბრეშუმის ჭიის პარკს ყიდულობდნენ. ფუთ პარკში 4-5 მანეთს იძებოდნენ და 5 თუმ-

ნად ყიდდნენ. ე.ი. მწარმოებელი ჯერდებოდა იმის მეთავე, რასაც გადაწყვიტავდა იღებდა

სწორედ აბრეშუმის პარკის შესყიდვა გაიხდა პრიორიტეტად გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, რომელიც 1893 წელს დაარსდა კონსტანტინე თავართქილაძის, იაგორ თაყაიშვილისა, ვასილ ხუნდაძის თაოსნობით. ხუნდაძე შემდგომში ქალაქ ოზურგეთის თავი იყო. ამხანაგობას კონსტანტინე თავართქილაძე ხელმძღვანელობდა, მის შემდეგ კი სოლომონ ჭიჭიშვილი.

ამხანაგობას მიზნად ჰქონდა გურიაში მეაბრეშუმეობის გავრცელება და წარმოების განვითარება, რათა აბრეშუმი არა როგორც ნედლეულის, არამედ მზა ნაწარმის სახით გაყიდულიყო და ფული გურიაშივე დატრიალებულიყო. მოგების 30% ქვემოქმედებს უნდა მოხმარებოდა.

ამხანაგობამ დაანესა საწევრო ერთი თუმანი. თავიდან მხოლოდ 500 მანეთი შეგროვდა, რაც საკმარისი არ იყო. ამხანაგობამ საქმის დასაწყებად ისესხა 8000 მანეთი და მოქმედება დაიწყო დაბა ლანჩხუთიდან, სადაც თავს იყრიდნენ აბრეშუმის პარკის მყიდველები. ამხანაგობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩარჩ ვაჭრებს და დაიწყო პირდაპირ მოსახლეობისგან აბრეშუმის პარკის შესყიდვა.

პირველ წელიწადსვე ამხანაგობამ აბრეშუმის პარკის ფასი ერთი-ორად ასწია. ფუთი პარკის ფასი 4-5 მანეთიდან 10 მანეთამდე გაიზარდა. ჩარჩი იძულებული იყო ამ ფასად ეყიდა პარკი. ამით ისარგებლა გლეხმაც და ამხანაგობამაც, რომელსაც პირველივე წელიწადს 1300 მანეთი მოგება დარჩა. პირველივე წლის წარმატების შემდეგ „შუამავალი“ ლანჩხუთში გახსნა სახელოსნო აბრეშუმის ძაფის ამოსართავად, გამოიწერა მანქანები ხონის მეაბრეშუმეობის ამხანაგობისგან და

სოფლის ქალებს წმინდა ძაფის ამოღება შესწავლა, ასევე გახსნა ძაფსახვევი სახელოსნო და სკოლა დეაბრეშუმი, სადაც დავით მამულაიშვილმა შესწირა მინა „შუამავალს“. მეორე წლისთვის „შუამავალი“ 4000 მანეთის სალი თესლი უფასოდ დაურიგა ხელმოკლე სოფლებს. შემდეგ წელს შუამავალი 16 000 მანეთის პარკი იყიდა, გაუშვა ფარდულებში და დამზადებული ფუთი 43 მანეთად გაყიდა. სუფთა მოგება 4000 მანეთი დარჩა.

გარდა აბრეშუმისა, „შუამავალი“ დაიწყო გლეხებისგან თაფლის, თაფლის სანთლის, ვაშლის, მსხლის, ბრონეულისა და თხილის შესყიდვა და იქაც ასწია ფასები. თუ თხილის ფასი წინა წლებში ფუთი მაქსიმუმ ექვსი აბაზი იყო, შუამავალი 13 აბაზად ყიდულობდა, თაფლის სანთლის ფასი 16-18 მანეთიდან 22 მანეთზე ასწია. „შუამავალი“ თხილი 2200 მანეთისა იყიდა, ვაშლი, მსხალი და ბრონეული 2400 მანეთისა, სანთელი 1200 მანეთისა, თაფლი 1600 მანეთისა. ყოველივე ეს ამხანაგობას რუსეთის ქალაქებში გაჰქონდა. „შუამავალს“ პარკი გაჰქონდა მარსელში. იქ იყო მისი ძირითადი საწყობი. 1900 წელს მარსელის საწყობში შუამავალს 184 ათასი კილო პარკი ჰქონდა დასაწყობებული. ყვითელი პარკის ფასი 8 ფრანკი, ხოლო თეთრისა - 7,5 ფრანკი იყო. 1901 წლის აპრილისთვის მარსელის საწყობში 647 ათასი კილო პარკი იყო.

1895-დან 1898 წლამდე ამხანაგობის წევრთა რიცხვი 200-დან 500-მდე გაიზარდა. 1897 და 1898 წლები დიდი მოგების წლები იყო. 1901-02 წლებისთვის „შუამავალი“ გურიაში მეაბრეშუმეობა მომგებიან საქმედ აქცია. 1903 წლისთვის ამხანაგობის მუშაობა შეწყდა. მიზეზი მმართველების არაკომპეტენტურობა იყო.



# ამხანაგობები გურიაში

დასასრული

## შინაგვალ-გამსახვალნი ამხანაგობა

ეს უკანასკნელი ამხანაგობა სახოკიას ცნობით არც ისე წარმატებული იყო. წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი მენეჯმენტის გაუმართაობა ყოფილა. სახოკია წერდა, ამხანაგობის მმართველობა ერთსა და იმავე ხალხს ჩაუვარდა ხელში და გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრობაც კი არ იყო გამიჯნული. ამხანაგობის მუშაობა ისე ჩავარდა, რომ მოსახლეობამაც კი არ იცოდა თუ საკრედიტო საზოგადოება არსებობდა ოზურგეთში.

## ლანჩუთის სამაგისტრო საზოგადოება

საზოგადოება დაარსდა 1913 წელს. მისი მიზანი იყო სოფლად მოეწვია ნასწავლი აგრონომები და ინსტრუქტორები, რომლებიც ლექციებს წაიკითხავდნენ და პრაქტიკულ გაკვეთილებს ჩაატარებდნენ.

## ცენტრალური ნიგნის მაღაზია

მაღაზია საამხანაგო წესით გაიხსნა. ამ ამხანაგობის წევრები უმეტესად მასწავლებლები იყვნენ. ყოველი წევრი იხდიდა თითო თუმანს. ამხანაგობის მიზანი იყო გურიის სკოლების, ნიგნსაცავების, სასოფლო კანცელარიების მომარაგება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი ნიგნებით, საკანცელარიო ნივთებით. ამხანაგობას ერთი მხრივ სურდა გაეადვილებინა დასახლებული ნივთების შეძენა და მეორე მხრივ, ეს ნივთები შედარებით იაფად უნდა მიენოდინა მუშტარისთვის. ამ მხრივ გურია დიდ გაჭირვებაში იყო. თურქული თბილისში ორ კაპიკად იყიდებოდა, გურიაში ის შაური ან მეტიც ღირდა. უბრალო ნიგნი თბილისიდან უნდა გამოენერა ადამიანს. ეს ერთი მხრივ დამატებითი ხარჯი იყო ფოსტის მომსახურების გამო, მეორე მხრივ ერთი თვე მაინც აგვიანდებოდა ნიგნის ჩამოსვლას. ამხანაგობის დამაარსებლებმა კი გადაწყვიტეს, პირდაპირ თბილისთან და რუსეთის მექარხნებთან დაეჭირათ საქმე და შუამავლის გარეშე იქიდან დაებარებინათ მასალა, რომ თვითონაც იაფად გამოსულიყვნენ და მუშტარისთვისაც მცირედით გასამრჯელო გამოერთმიათ.

# ბიბლიოთეკები გურიაში

ქალაქი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო ნიგნს აქვეყნებენ

მარჯორი უორდროპი, 1895

„გურიაში ყოველ სოფელს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, სახელმწიფო საფოსტო განყოფილებიდან ყველაზე დამორბეულ სოფლებშიც კი ყოველდღიურად ლეზულობენ გაზეთებს თბილისიდან, ბათუმიდან და რუსეთიდან“.

ლუიჯი ვილარი, ცეცხლი და მახვილი კავკასიაში, 1906

გურიაში ნიგნსაცავები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები XIX საუკუნეშიც კი ფართოდ გავრცელებული და პოპულარული იყო. სწავლას გურული გლეხები ძალიან ეტანებოდნენ. მიუხედავად გაჭირვებისა, არავითარ ძალას არ ზოგავდნენ სკოლების, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების გახსნისთვის. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო არამხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ მაშინდელი ჟურნალ-გაზეთებიც და ალბათ ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს გურულების პოლიტიკური განათლების მაღალი დონე.

### ოზურგეთი

პირველი ბიბლიოთეკა ოზურგეთში ქალაქის თვითმმართველობამ დააარსა 1895 წლის ზაფხულში. ბიბლიოთეკა ან ნიგნსაცავი, როგორც მაშინ ეძახდნენ, აღწერილი აქვს თედო სახოკიას.

„ოზურგეთმა ამ მხრივ, თბილისის და ქუთაისის შემდეგ, ყველა ჩვენს დაბა ქალაქებს გაუხსნო, თვით ბათუმსა და ფოთსაც კი, რომელთაც ოზურგეთი ქონებრივად ვერც კი შეედრება. ნიგნსაცავს ერთი კარგი მოზრდილი ოთახი აქვს დათმობილი ადგილობრივ კლუბში.“

ნიგნსაცავი თვითმმართველობამ ქველმოქმედთა ფულით დააარსა. იმართებოდა წარმოდგენები და სალიტერატურო საღამოები მის სასარგებლოდ. იღებდა შეწირულობას სხვადასხვა კუთხიდან ფულის ან ნიგნების სახით.

ნიგნსაცავი შედგებოდა რუსული და ქართული განყოფილებებისგან. რუსულ განყოფილებაში ინახებოდა რუსი მწერლების ნეკრასოვის, გოგოლის, ლერმონტოვის, შჩედრინის, ტურგენევის, ლ. ტოლსტოის და სხვ. ბიბლიოთეკაში რამდენიმე სამეცნიერო ნიგნი იყო რუსულ ენაზეც. ასევე გამოწერილი იყო კავკასიაში გამოშვებული პერიოდული გამოცემები და რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი რუსეთიდან. ესენი იყო „ივერია“, „მეურნე“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მომამბე“, „ჯეჯელი“, „მწყემსი“, „აკაკის კრებული“, „ახალი მიმოხილვა“, „კავკაზი“, „ტფილისის ფურცელი“. სულ ბიბლიოთეკას გააჩნდა 600-ზე მეტი ნიგნი.

„ნიგნები დაკაზმულია სადად და მაგრად და მოთავსებულია ორ განჯინაში. ნიგნსაცავი ახალ-ახალ ნიგნებსაც იძენს შეძლებისდაკვალად და აზრად აქვს ისეთნაირად მოეწყოს, რომ შიგ ინტელიგენტ კაცს ყოველგვარი ნიგნის მოპოვება შეეძლოს.“

ბიბლიოთეკა იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი, ნიგნსაცავში შესვლა და კითხვა უფასო, ხოლო ნიგნის ან გაზეთის სახლში წაღე-



მასალა აღებულია ბრიტოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com](http://www.aboutguria.blogspot.com)

ბის შემთხვევაში დაწესებული იყო მცირე გადასახადი. საუცხოვო წესიერება ყოფილა ნიგნის კითხვის დროს ნიგნსაცავში. მკითხველები ნიგნსაცავს არ აკლდა და მათი რიცხვი მატულობდა კიდევ. ამას ხელს უწყობდა ნიგნების საჯარო კითხვის ტრადიციაც.

„ამავე ნიგნსაცავში ყოველკვირით შეკრებილ საზოგადოებას უკითხავენ ხოლმე სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს, და ეს საქმე ჩაბარებული აქვთ აქაურ ქალებს. სხვა ქალაქებში მკვიდრთათვის ასეთი საქმე უცხოა. სწორედ სანუგეშო საყურებელი გახლავთ, როცა კვირით სახლიდან გამოსული ხალხი, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქალი თუ კაცი, სამკითხველოსკენ მიეშურება, ნიგნი უნდა წაიკითხონო.“

ნიგნსაცავს უვლიდნენ ქალები. შეიდ ქალს ჰქონდა ნაკისრი კვირაში ერთხელ მორიგედ ყოფნა.

„უჭველია, თავის დროზე ეს ნორჩი დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევს აქაურებს, განსაკუთრებით აქაური ვაჭრების ნიჭრებს, რომელთაც აქამდე არ იცოდნენ თავისუფალი დრო რისთვის მოეხმარათ. ნიგნსაცავს გავლენა ექნება აგრეთვე ყომარბაზობისა, სამიკიტნობის ფუჭად დროების ტარების და ათასგვარ უნესობების შემცირებაზე.“

1920 წელს ოზურგეთში ორი სამკითხველო იყო, ერობის და ქალაქის. ერობის ბიბლიოთეკაში ერთდროულად 500 მანეთი იყო შესატანი თანხა თვიურად 100. საქალაქო ბიბლიოთეკა ძველი სასტუმროს პირველ სართულზე მდებარეობდა, შემდეგ კი ქუთაისის (დღეს აღმაშენებლის) ქუჩის დასაწყისში შინსახოკის ყოფილი შენობა ეკავა.

### ასპანა

1893 წლის 27 იანვარს მეღვინე სოლომონ ჭეიშვილის თაოსნობით სოფელ ასპანაში გაიხსნა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის სამოთახიანი შენობა მდებარეობდა ამჟამინდელი სოფლის ცენტრში, სასაფლაოს მიმდებარე დიდ ჭაღართან. 1898 წლისთვის გამოწერილი

იყო რუსული და ქართული გამოცემანი სულ 142 მანეთისა.

ასპანის ბიბლიოთეკის შემოსავალი იყო სანეწრო, შემოსიროლობა, ალეგროდან აღებული თანხა. ბიბლიოთეკის წევრები იყოფოდნენ სამ რიგად: დამაარსებლები, ნამდვილი წევრი და საპატიო წევრი. ნამდვილი იყო ვინც ბიბლიოთეკის ფონდში იხდიდა აბაზს, საპატიო წევრი იყო ვინც იხდიდა არანაკლებ ათ მანეთს. ბიბლიოთეკის მოწყობასა და მუშაობაში ჭეიშვილს მხარში უდგნენ ექვთიმე თალაკვაძე, ბესარიონ ჯაველიძე და ივლიანე შევარდნაძე.

1901 წლის 1 აგვისტოს აღწერის მიხედვით ბიბლიოთეკა 903 დასახლების ნიგნს ითვლიდა. მხატვრულის გარდა ინახებოდა პედაგოგიური ლიტერატურა. „ქართული არითმეტიკა“, „ქართული სწორმეტყველება“, „ქართული გრამატიკა“, „ახალი ქართული გრამატიკა“, „ბავშვების მოვლა“, „შვილის აღზრდა“, „სკოლა და ოჯახი“, „ყრმათა ფიზიკური აღზრდა“. ისტორიული ნიგნები: „თამარ მეფე“, „ქართული ისტორიის წყაროები“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „ქართველები სპარსეთში“. სეზონურად ბიბლიოთეკა მიჰქონდათ კურორტ ბახმაროზე. 1907 წელს, რეაქციის წლებში, მთავრობა ბიბლიოთეკა დახურა. მისი ხელახლა გახსნის უფლება ჭეიშვილს 1914 წლის 10 სექტემბერს მისცეს.

### ცნობის ფურცელი, N2799, 1905

„ამ ექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ დღეს ველირსეთ, როგორც იყო გაზეთების მიღებას, მოვიდა თუ არა ფოსტა, მაშინვე მშვირი გლეხებით დაენაფა დიდი პატარა გაზეთებს. ყველას განურჩევლად სექსისა და წოდებისა, განათლებულობისა და გაუნათლებლობისა ერთობ ინტერესებს ახალი ამბები და საქვეყნო მოძრაობა

- ახალი გაზეთი გაქ ბატონო? გვეკითხება სოფლიდან ჩამოსული დედაკაცი, რომელსაც ცალ ხელში კალათით კვერცხი ან ყველი უჭირავს გასაყიდი

- დღეს არ მივიღია, გუშინდელი არის თუ გინდათ - უპასუხებთ

- გუშინდელი წაკითხული მაქვს, მე დღევანდელი მაინტერესებს, - წყნით ამბობს კითხვის მოყვარული და გულდანყვეტილი მიდის. აი, როგორ დაინტერესებული არიან გურიის სოფლებში გაზეთის კითხვით“

### ნიგნის კითხვამ გაღარიბა გურულაბი

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში სამკითხველოები თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა. პირველი იყო აკეთში, გურიის სახალხო ბიბლიოთეკა (1893), ასევე ლანჩუთი (1900), ჩოხატაური (1901), ხიდისთავი (1903), სუფსა (1911), ჯუმათი (1912), შემოქმედი, ამაღლება, აცანა და ლესა (1914).

1900-იანი წლების სოციალური მოძრაობის დროს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ერთ-ერთი პირველი განმეცხვები რაც მიიღო, გურიაში სამკითხველოების დახურვა იყო - გურულები ნიგნის კითხვამ გაღარიბა. მთავრობის ამ ზომამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო - გლეხები ქოხებში გადავიდნენ და ფიჩხის ალზე კითხულობდნენ.

### ლიხაური

1912 წელს ლიხაურში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი, რომლის ხელმძღვანელი იყო ლიხაურის ტაძრის წინამძღვარი ნესტორ კონტრიძე. საზოგადოებამ გახსნა სამკითხველო, რომელსაც 404 ქართული და 302 რუსული ნიგნი ჰქონდა, გამოწერილი ჰქონდა თითქმის ყველა ქართული და რუსული გაზეთი. სამკითხველო 790 ადამიანს ემსახურებოდა. 1918 წელს ოსმალების შემოსევის დროს განადგურდა ლიხაურის სამკითხველო. არ გადარჩა არცერთი ნიგნი და ავეჯი. ამის გამო 1919 წლის 10 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ლიხაურში 500 მანეთის ნიგნები გაგზავნა. 1920 წელს ლიხაურში გაუქმდა საზოგადოების ფილიალი, სამკითხველოს ხარჯების გაღება მთლიანად თემმა იკისრა.

გამოცა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგაზეთო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას

British Embassy Tbilisi  
UKaid from the British people  
Empowered lives. Resilient nations.